

# ლიტერატურული განეთი

№20 19 თებერვალი - 4 მარტი 2010

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

მიხო მოსულიშვილი

„ომ მანი პედე  
ჰუმ“

II-III

პაატა შამუგია

„სიმპოლისტური  
გალადა“  
და სხვა ლექსები

IV-V

აკა მორჩილაძე

ლეგენდარული  
ქამარას პირადი  
და  
საზოგადოებრივი  
ცხოვრება

VIII-IX

ემზარ კვიტაიშვილი

დღიური

VIII-IX

გურამ ოდიშარია

„ცელს ლექსის  
დაცერა მომიდანა“

XI

ენი დილარი

სიტყვით  
გამოსატვის  
შესახებ

XIV-XV







**საინიცია**

როცა კორპუსები ფანჯარებს მოხუჭავენ  
და მთვარეები აყვავდებიან ვუბეებში  
და მდინარეები ტალღებს დაიკაპინებენ  
და ჩვენი გულები, როგორც ძალები,  
ჯაჭვებს აიწყვეტენ  
და ყველა შეყვარებულის გულებად დანანილდებიან,  
მაშინ მინდა იყო აქ.

როცა სინათლეები ჩაქრებიან  
და სიბნელეები აენთებიან  
და სიზმრები გამალდებიან და გამალდებიან და  
განაღლდებიან  
და ხეები ჩიტებს მოისხამენ  
და კალათებს მწიფე ბელურებით გავავსებთ  
და ვიტყვით: "გვშია",  
მაშინ მინდა იყო აქ.

როცა ქარის ურიცხვი მოძრაობა  
შეიძნეს ურიცხვი მნიშვნელობას  
და ჩემი სიხარული  
დაემთხვევა ქარებს და ქარებს...  
და ქართაგან ერთ-ერთს, როგორც დასაკლავ ცხვარს,  
ქამარზე გამოვიბამ,  
მაშინ მინდა იყო აქ.

როცა ქვების აცდენას ვისწავლი  
და ჩემები ნასროლი "ლოდებისგან ტაძარს ავაგებ",  
სადაც შემოვლენ ღმერთები და  
ჩუმად მთხოვენ ბედს და იმედებს,  
რომლებიც ჩემთვის ერთხელაც არ გამოიმტეს,  
და ვიქები შესაძლებელი, როგორც დროშა  
მთვარის ზედაპირზე დარჭობილი  
და მოსალოდნელი,  
როგორც ცვალებადი მოღრუბლულობა  
და ცვალებადი,  
როგორც მოსალოდნელი სიყვარული,  
მაშინ მინდა იყო აქ.

\*\*\*  
არაფერი შეიცვლება. ყველაფერი, რაც იყო, კიდევ იქნება.

გადამფრენი სიზმრები ძილებზე შემოგვისხდებიან  
და გვიმღერებენ ნარსულს და ტროტურებს,  
ქარები ანტენებზე გადაივარცხნიან თმებს,  
მკვლელები იტირებენ მოკლულთა გვამებზე  
და არაფერი შეიცვლება.

ჩვენ კიდევ მრავალ ომს და ცრემლს და სიძულვილს და  
თვითმკვლელობას გავუგებთ გემოს  
და ვიცეკვებთ საკუთარი სხეულის ჩრდილქვეშ  
და ვიცეკვებთ ჩაქოლილი პოეტების ჩრდილქვეშ  
და ვიცეკვებთ და ვიცეკვებთ და ვიცეკვებთ და  
ვიცეკვებთ  
და არაფერი შეიცვლება,  
ყველაფერი რაც იყო, კიდევ იქნება.

ისევ გათენდება და შეგშურდება,  
რომ შენმა მეგობარმა ცოლად ხელოვნების ნიმუში  
მოიყანა,  
შენ კი უაზროდ ატარებ დროს და  
კარგავ მეგობრებს, კარგავ მამას და კარგავ დედას  
და კარგავ რნენას და, ცხადია, კარგავ უფლებას,  
იყო მკვდარი  
და არ გესმოდეს მამის საყვედურები  
არდანებულ სამსახურზე, არმოვანილ ცოლზე,  
არალებულ ნობელზე...  
აკი გითხარი, არაფერი შეიცვლება...

\*\*\*  
ხეებზე მაღლა, ცაზე მაღლა და ქარზე მაღლა  
ყველაზე მაღლა მიმომფრინავ ჩიტებზე მაღლა  
შეუძლებელ და შესაძლებელ სიძრინეზე მაღლა,  
სადაც ჩიტები ფრთხებს ვერ აწვდენენ  
და არცერთი ბგერა უკან არ ბრუნდება,  
სადაც ყოველი ძემუსთავი  
მომართულია ჩვენი ტუჩისკენ  
და ყოველი კრავი ჩვენი მგლისაკენ.  
სადაც სიყვარული ისეთივე სახიფათოა, როგორც  
კონტრაბანდა  
და ღიმილი პირდაპირი, როგორც ვარდა.

**პაატა შამუგია****სიკვდილის მეტაფიზიკა**

საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ სიკვდილი არ არსებობს  
და ის ბოროტება ლინგვისტებმა გამოიგონეს.  
სინამდვილეში, ადამიანი ლრმა ძილს როცა მიეცემა,  
მას კოსმონავტები იპარავენ  
და მიჰყავთ მაღლა, ძალიან მაღლა,  
სადაც ჰაერი იმდენად ფერადია,  
რომ თვალები გაჭრელდება,  
სადაც სხედან ადრემოტაცებული ადამიანები  
და მსჯელობები კირკეგორის მეტაპოეტურ  
თეორიებზე...

კოსმონავტები კი ისევ მიქრიან  
შემდეგი ჩაძინებული ადამიანების მოსაპარავად.

**სიმოლისტური გალაზა**

მე აქ ვარ, მაგრამ მეძებე სხვაგან,  
მე მჯერა, რომ სხვაგან ვიქები,  
უფრო სხვაგან, უფრო შორს და უფრო სუფთა,  
ვიდრე ახლა ვარ.

დილით თუ ღამით,  
თუ უფრო ღამით,  
მეძებე სხვაგან.  
გადაშალე წიგნი და  
მეძებე შიგნიდან.

გააღვიძე ყველა მკვდარი,  
პოსტმოდერნისტულ სიზმრებს რომ ხედავს,  
გააღვიძე მამა, პოსტმოდერნისტულ სიზმრებს რომ  
ხედავს,  
და გაგვაღვიძე ჩვენ, პოსტმოდერნისტულ სიზმრებს  
რომ უხედავთ.

ნუ მეძებ, როცა ქეცნობიერი  
საკუთარ თავს აცნობიერებს  
და ჩვენი სუნთქვები გალობენ  
არგარდაცვლილ გმირებზე არდანერილ მითებს,  
სადაც სხეული დაგველალა და კალთაში გვიდევს  
და ასე ვასვენებთ.  
სადაც ვცოცხლდებით

და თბილ სიზმრებს შემოგვიკეცავს

დედა და დედა დაგვეძებს სადღაც,

ოღონდ არა აქ.

ნუ მეძებ იქ, სადაც იქცევა იქსადაც

სუყველა იგრევა.

მეძებე სხვაგან!

ნუ მეძებ იქ, სადაც სხვაა და ზღვაა და  
ნუ მეძებ იქ, სადაც მეთევზეს ტალღიდან

ამოაქვს მკვდარი თევზი

და

მარტონის ათასი წელი

და კიდევ უფრო ათასი წელი

და კიდევ უფრო ათასი წელი

და მარკესის ჭაღარა თავი

და დაბერებულ ადამის ნეკნი

და ჰამბურგერის ნამცეცები.

ნუ მეძებ იქ, სადაც ზღვის ტალღებს გამოაქვთ

მევარი მეთევზე და

შეყვარებულ ქრისტეს ცრემლები,

სადაც ღამეა და მეძავი ხდება წმინდანი,

ან წმინდან ხდება პირიქით,

სადაც ჩამოდის უფალი და

საკუთარ თავს მშვიდად გვირიგებს.

**მათერიალის მცველა**

მოკალი, ვინც გინდა, ჩაქოლე პირწმინდად,  
მაგრამ არა ღმერთ კლა.

მოკალი ხურო და მამიდის კურო და  
მოკალი პოეტურად, მოკალი ესთეტურად,  
მაგრამ არა ღმერთ კლა.

ააფეთქე პენტაგონი, მოკალი ბუში,  
მოკალი დღეს და მოკალი გუშინ,  
მაგრამ არა ღმერთ კლა.

მოკალი სივრცე, მოკალი ინსტალაცია,  
მოკალი პოლიტიკა, მოკალი იზოლაცია,

მოკალი აბსტრაქცია, მოკალი კონვენცია,  
მოკალი რეცეფცია, მოკალი კონდიცია.

მოკალი სიყვარული, შენში რო მოლეკილა,

მოკალი ატომი და მოკალი მოლეკულა,

მოკალი მომავალი,

მაგრამ არა ღმერთ კლა.

ყველაფერი, რაც შენია, ამავდროულად შენიცაა და  
არა ღმერთ კლა.

ეს ცა შენია და შენი ცაა და შენიცაა და  
არა ღმერთ კლა.

მოკალი ამბიცია, შენში რომ მოლეკილა,

მოკალი ატომი და მოკალი მოლეკულა,

მოკალი ტროტურაზე, მოკალი სანაგვეზე,

მოკალი კაფეებში ლექსები დანაკვესი,

მოკალი მომავალი, იცხოვრე ორ დროში და

მოკალი ქუჩაში და მოკალი მეტროში და

მოკალი ლიდერი და მეცე და მედროშე და

არა ღმერთ კლა!

ამინ!

**ჩიტები**

ჩემი სხეული ქარია,

რომელსაც ხელში ჩიტები უჭირავს

და აფრიკალებს დროშასავით

და ეს ქარი გამუდმებით შუბლთან მოგიდის,

რომ გამონერონს შენი სიზმრები,

როგორც ერთგული ჯარისკაცები,

რომ შეეძლოთ ნებისმიერ რიტმის მოყოლა

და არც ცხოვრებას ჩამოურჩნენ,

რომელიც, გავრცელებული თვალსაზრისით,

ჩემია და მოხელთებას საჭიროებს.

ჩემი სხეული ქარია

და მითუმებელს ქარია, თუკი

ვინევი მაღლა, ნ

## შიგინი

(სარეკლამო პაროდია)

მინდა სახლი

მინდა ჩაი

მინდა ყავა

მინდა ფული

მინდა სექსი

მინდა სექსი კლეოპატრას აბაზანაში

მინდა სარეკლამო პაუზა

მინდა ფრონდის ფსიქონალიზის მეორე ტომი

და ფრონდის ფსიქონალიზის მესამე ტომი

და ფრონდის ფსიქონალიზის მეორე ტომი

მინდა ევოლუცია

მინდა ფსიქიური მუტაცია

მინდა მე უოტ უიტმენი ვიყო

და თქვენ იყოთ ტერორისტები

მინდა დადა

მინდა დედა

მინდა ევროკავშირი და ევრორემონტი

მინდა შიშინი

შავი შაშვი

შიო შორაპანი

შორია გურჯისტანამდე

შავსა კაცსა შავქუდოსანსა

მინდა ასფალტი

მინდა ლინდა

მინდა პანდა

მინდა ინკლუზიური ანგელოზები

და ექსკლუზიური გადაცემები „ბი-ბი-სი-“ზე

მინდა პირად ანგარიშზე 100 მილიონი მეჯდეს

და კალთაში „მის ამერიკა“ მეჯდეს

მინდა ყავა

მინდა ყავა

მინდა ყავა და უკაცრიელი კუნძულები

მინდა ასიმეტრიული ღმერთები

და სიმეტრიული შეგობრები

მინდა ეკონომიკური კოლაფსის ფორმულა

და ადამიანური ბედნიერების ფორმულა

მინდა იაფფასინი არაყი

და იახტა დარდანელის სრუტეში

და იახტა წყნარ ოკეანეში

მინდა გონკურების პრემია

მერე ბუკერის პრემია

მერე ნობელის პრემია

რომ ვიყიდო სახლი

რომ ვიყიდო თოჯინები ჩემი ცოლისთვის

რომ ვიყიდო მშვიდი სიკვდილი

რომ ვიყიდო სამოთხეში პატარა ფართი

სადაც კარგად გამოვიდინებ.

## ირმა ბერიძე

\* \* \*

მოულოდნელი სიხარულივით

მოვიდა მარტი და მზის არშია,

ნაზამთრებს ისე მოგესალბუნა,

რომ მარტი ლამაზ აპრილს არჩიე... .

გაიაპრილებს ალბათ მაისიც,

ივნისს შეაკრთოს ვარდების ჩერო,

მერე ივლისი ჩადგება შეაში,

მზეში გალლვება შუა აგვისტო.

სექტემბრის ქარი ნოემბრის ქარებს

სასიყვარულოს მისწერს ბარათებს

და ღვინონბისთვე ეჭვისგან მთვრალი

იმ ღამეს სახლში ალარ გაათევს. . .

მერე ბელურებს, უფლისი ერთგულებს

შობის ლოდინში დაელანდებათ -

როგორ ახლოა შემოდგომამდე

და თებერვალი როგორ თავდება. . .

\* \* \*

ყველაზე მთავარს, ყველაზე ულრმესს,

თურმე ჩემს გულში ჰქვია - ხაშური,

იქ პირველყოფის ნაზ სისათუთეს

ეალერსება ყოფა ბავშური. . .

როგორც ტაძართან მივალ იმ სახლთან,

ფეხზე ვემთხვევი ეზოს დარდიანს,

იქ ჩემი პაპა დადის შვილმკვდარი

და ბაბოჩემი სანთლად ანთია. . .

## მომცდართა ლოცვა

(ნაგლეჯი პოემიდან)

„უცრად მოხდა შემოდგომა“

ზ. რატიანი

ერთხელაც მოვხდეთ,  
აი, ასე, ერთხაშად მოვხდეთ  
და მოვახდინოთ ყველა ჩვენგანი  
ისე, როგორც იქსომ მოახდინა თითოეული წამი  
და არ გამოაცალევა ისინი  
დროის მანქანიდან.უბრალოდ, მოვხდეთ  
როგორც ყოველდღიური რიტუალები,  
როგორც დიღლის შენიუ  
და ღამის შენიუ,  
ან სამადაშვილის თავის ქალაზე  
მიმხმარი ხვლიკის თავის ქალა  
და შენი თავის ქალაზე  
მიყრდნობილი ჩემი თავის ქალა  
და მუზეუმში დაყუდებული  
პირველი ევროპელის თავის ქალა.  
უბრალოდ მოვხდეთ,  
როგორც ჩაი და ჩაიდანი,  
როგორც ბურთი და მოედანი,  
როგორც ბონი და კლაიდი,  
როგორც ბონი და ბერლინი,  
როგორც ლეონარდი და კეიტ მოსი,  
როგორც ლეონარდი და ვინჩი.უბრალოდ მოვხდეთ,  
როგორც ხდება ცრემლი — განშორებისას,  
როგორც ხდება ცრემლი — სინაზულისას,  
როგორც ხდება ცრემლი — სიყვარულისას,  
როგორც სიყვარული — სიყვარულისას.დე, სხვები მოხვდნენ სამოთხეში,  
და ასკეზას მინდობილებმა  
ზილონ სივრცითი წარმოსახვები,  
სხვებმა აგროვონ ბალახის ფოთლები  
და შეუერთდნენ ეთერულ სიმშეიდვეს,  
ჩენ კი ვისხდეთ ყვითელ სკვერში და  
ხანგამოშვებით მოვხდეთ ხოლმე.ისედაც მოხდა მოსახდენი:  
ყველა სიტყვა დაუბრუნდა მინშველობას,  
ყველა სუნთქვა დაუბრუნდა ნესტორებს,  
ყველა გმირი დაუბრუნდა ისტორიას,  
ყველა ცრემლი დაუბრუნდა გუგებს,  
ყველა ჯვარი დაუბრუნდა ქრისტეს  
და ყველა ქრისტე დაუბრუნდა ჯვარს.აი, შენც მოხდი და ახლა უკვე  
შენ მინყობ დამით სასტუმალზე ლეგალურ სიზმრებს,  
შენ მჩუქნი ღამეს ვარსკვლავიანს  
და ფოთლებაკაპინებულ შემოდგომას,

შენ მჩუქნი ნებას, რომ გავულო მათ, ვინც კარებზე,

დიდი ხანია, უიმედოდ აკაკუნებენ.

შენ მიჩენ იმედს, რომ ურცხვად არ გაიწელება  
ქუთუთოებზე გაკიდული მოლოდინები.შენ მაძლევ ნიშანს, რომ უსათუოდ  
მოვხდებით, თუკი შეიძლება, რომ  
ითქვას და ალბათ შეიძლება, რომ  
ითქვას და თანაც, ისე უბრალოდ,  
როგორც - „უფალი“,  
რომელიც მოხდა.

## ლიცანისტიკის წევა

გამუდმებით ასეა:

ვხდები ის სიტყვა, რომელიც მე მომემართება  
და ყველა სიტყვა, რომელიც მე მომემართება,  
და მასენებს სივრცის სიმყარეს,  
ცდილობს, მომცეს თავისი სახე,  
თავისი გარსი და სურვილთა მყიფე ლოგიკა,  
აი, ვთქვათ, „რამე“,  
ან ისეთი მარტივი რამე:

როგორიცაა „პრეზიდენტი“

ან „ჯეიმს ბონდი“.

წარმოთქმას ვერც კი დავასრულებ, ვხდები მე თვითონ  
და ბრიფინგების პარალელურად

ვიგერიებ საბჭოთა აგენტებს.

და მე — პოეტი,  
მე — მეძავი,  
მე — პატრიარქი,  
მე — ტერორისტი,  
ლიბერალი,  
ავტომრბოლელი,  
მე — ცირკის მუშა,  
გენიოსი და ლეთისმშობელი,  
ვზივარ და უფლებითი მინშველობებს, რომლებიც უკვე  
მექცენ სხეულის დამატებით ორგანობადდა ძილის წინ უკვე იმდენი ვარ,  
ყველაფერს აზრი ეკარგება,  
თვლას — მითუმეტეს,  
და მოფრინავენ თბილი ქვეყნიდან  
გაუქმებული სიტყვები და ფრთხოებს აცეცებენ  
და ყველა ჩემგანს შენებულ სახით წომრავენ,  
აღმრიცხავენ, მსინჯავენ და მარკას მაკრავენ  
და მაქცევენ საიმიჯო პროდუქტად და  
ბრენდად და ფეისად

და პორნო-სტარად

და სპილერგად და ფარაჯანოვად

და ლუდ „ჰაინენენად“

და მოდის უკანასკნელ წივილ-კივილად

და „ვინდოუს ვისტად“ და გალაკტიონად

და ვზივარ ქარში

და ვერავ სიზმრებს გადამფრენი სიტყვებისგან.

\* \* \*

სად ქრებით, ხახმატის ლამეებონ???

ბისოს ვარსკვლავებო, საოცარო,

დასაწყისი № 9-19

## პირველი მათემატიკური და ორი ფუნქციური ამჟავი

ԵՐԵՎԱ, մաժոն մոյզա ցարութիւնս ամ ծովու-  
յու մանտաշոզու ամեցնելու կա ենու մշակուածու-  
ութիւնը ամեցնելու համար ամեցնելու մոյ-  
զա ամ կա մագարու մուսամեցնու ոյս եղ մշակու-  
ութիւնը ամեցնելու համար ամեցնելու մոյ-  
զա ամ կա մագարու մուսամեցնու ոյս եղ մշակու-  
ութիւնը ամեցնելու համար ամեցնելու մոյ-  
զա ամ կա մագարու մուսամեցնու ոյս եղ մշակու-  
ութիւնը ամեցնելու համար ամեցնելու մոյ-  
զա ամ կա մագարու մուսամեցնու ոյս եղ մշակու-  
ութիւնը ամեցնելու համար ամեցնելու մոյ-

დაბრეცილმა იცის ხოლმეთქმა, რო ტე-  
ლაგრეიკიანი ქურდებიო. პირველათ რო  
გავიგონებ იმისგან მაგ ნათქვამი, ეგრევი  
მიზხვდი, რო ძველ ქურდებზე ამბობდა.  
ბევრი კი ვერ იგებს, ახლანდელები ბიჭები.  
ერთს ვეხმარებოდი, სათამაშოს ხსნიდენ და  
ახლობლის ხალხი იყო და მთხოვა მიეხმარ-  
ეო. ეგ ახლობელი როგორია იცი, ვაზშე არ  
მაზავს, პროსტო კაზინოს იგროკია, ძვე-  
ლი იგროკი, ყველა რო იცნობს და ერთხ-  
ელ დამირეკა, ნახვა მინდა შენიო და კაზი-  
ნოსთან შეეხვდი და მეუნება უცათ, მაშინ  
ინტერტოტომბა იყო და ზაფხულია იას-  
ნია და ინტერტოტომს თამაშს მეუნება, ალ-  
ბანეთის რაღაცა გუნდი და რაღაცა,  
ალარც მახსოვს და უცურურას მეუნება, რა  
სიტყვებს — უენევიდან დამირეკესო, რო  
ოთხი გოლი ნალდათ გავა მაგ თამაშშიო  
და მე მაგის აზრზე არა ვარო, პროსტო  
უენევიდან დამირეკესო და მაგის გამაზვა  
როგორი უნდაო, ზაადნო, შენც გაძლევ მაგ  
მაზსო. აი, ეგეთი ახლობელი. აი, აზზე რო  
იყო. ეხლა უენევიდან დამირეკეს როგორი  
პონტია იცი, ეგ მეტყდუნაროდნი იგროკია  
და ვიღაცამ გამაზული თამაშის ამბავში  
ჰატივი სცა. ვიწრო წრეში. არ გამიგია  
მერეც, რო მაგ თამაში დიდად დაგრუზუ-  
ლი ყოფილიყო. მე მაშინ სამგან ათასაასი  
შევაგდე ქვითარზე და მოვიგე. იმან ხუთ-  
ხუთი შეაგდო ორგან, არ ვიცი ეს მაზებიო.  
მეტზე მაინც არ მიღილებდნ. მოკლედ, მაგ  
ახლობელმა მთხოვა, ჰატარა ბიჭები არი-  
ან, სათამაშოს გახსნა უნდათ და ეგება  
მიეხმარო და მივეხმარე. კაი ბიჭები  
იყვნენ სამივე და სწორათაც აკეთებდენ  
ქველაფერს, პროსტო ერთხელ რაღაცაზე  
ლაპარაკი ჩამოვარდა და ეგრე ვახსენე  
დაბრეცილის ნათქვამი ტელაგრეიკიანი  
ქურდებიო და იმათ კიდე ვერ გაიგეს,  
რიანი ქურდებიო. ვაფშე ტელაგრეიკაც არ  
იცოდენ რა იყო. ჰატარები არიან და იმ  
პონტში. ეხლა მოყვავი, თან ჩემი ენის  
ლაპარაკით, რო ტელაგრეიკა რა არ ჯერ,  
მერე რატო ეცვა ხალხს და ვაზშე, რა პონ-  
ტში ითქვა, რო ტელაგრეიკიანი ქურდე-  
ბიო.

ხოდა, იქ რო ლაპარაკი წავიდა, ვდრუგ  
ამ ლაპარაკში გვრიტისამ ტელაგრიეკა ახ-



აკა მორჩილაძე

# ლეგანდარული ქამარას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება



სენა. ერთი ტელაგრეიკა მქონდაო, ვეჩინა-ია მერზღლატაში ვიჯექი პაჩტომ და გამეცინა. და მამაჩემმა მითხრა, რა გაცინებს, იცი ვაფშე ეგ რა არიო, კაცს მაშენტ ყინ-ვაში თითები სულ დაძვრებაო. მეთქი, იგრენინგრადშიც დაძვრება, ჩაურტყი, და არა, ტელაგრეიკაზე გამეცინათქ, ჩემით ახლობელითქო ძევლ ქურდებს ტე-ლაგრეიკან ქურდებს ეძახისთქო და ესანათლიაჩემი გვრიტისა კი მიხვდა, რაცა ვთქვი, კაკრაზ ბიჭიკო მანთაშოვზე ვლაპარაკობდით და ოღონდ რა იფიქრა, არ ვიცი და თქმით კიდე მარტო ეგა თქვა, რომ ბიჭიკოს დროში იყო ტელაგრეიკებინ და მე მინახა ხალხიო, სროკიდან სროკზე როინახავდენ ტელაგრეიკასო და მაგარი მიჩვეული იყო ეგენი მაგ ჩისაცმელსო და სვაბოდაზეც რო ტელაგრეიკით დადიოდენო. ხოდა, მეთქი, კაკრაზ ეგა თქვა, რონანახი ყავს მაგ დროის ქურდები და მიმ-პარაგებითქ, გახუნებულ ტელაგრეიკაში ლურჯები რო იყო ხოლმე, ლურჯები და ვაფშებახუნებულები, უკვე პატტი თეთრათა. ის ბიჭიკო მანთაშოვი იყო ძველი დროის თბილისელი ქურდი და დიდი სროკები ქონდა მოხდილი. ბოლო სროკზე რო შევიდაო, გვრიტისაბ თქვა, უუჯ დამბ-ლა ქონდა დაცემულიო და ლაპარაკი უჭირდაო და ორი პადელნიკი ვინც ყავდა, ისინი იმ დღესვე სროკზე შევ-იდენო, შეყვენო რა, იმიტო, რო იმათ ესმოდათ მაგისი ზნაკები და ლაპარაკიო და კარიბა იმის ანა იყო ევო.

କାରନ୍ତିର୍ବୀ କୁଠାରେ, ଡିଲ୍ପାରୀଙ୍କାଳୀତାର ରହ ବନ୍ଦାଶ୍ଵର,  
ଏବଂ ରହ ଗ୍ରେଲ୍‌ଲାବାରାକ୍‌ଯାର, ବାଟ୍‌ର୍ମେର୍ଚ୍‌ବିକ୍‌ଟି ବିପ୍‌ରାଜ୍‌ଯାର  
ଓ ଅମ୍ବାର୍‌ବିକ୍‌ଟି ଥେବାର ସ୍ଵାକ୍ଷରଣ ରାଜାଙ୍କାଳୀତାର  
ସାଫ୍‌ରିଂ‌ଥୀରେ, ବିପ୍‌ରାଜ୍‌ଯାର ରହ ରାଜାଙ୍କାଳୀତାର ସାଫ୍‌ରିଂ‌ଥୀରେ  
ଯିମନ୍ ସାଲାବାରାକ୍‌ଯାରଟିମେ ଏବଂ ଗ୍ରେଟି ରହ ଗାମ୍‌ବିଧାରିତ  
ଯିମନ୍, ବେରି କାଶଟ୍ରୁମି ଏତ୍‌ତାର ଥେବାର ଦାନ ଦା ଶିଗ-  
ନୀ ଅନ୍ତରେ ଝେମିକ୍‌ରୂପ ଏବଂ କ୍ରେପାଟ୍‌ର ବୈଶୁରା ଦ୍ୱୀପ-  
ମନ୍ଦିର ପାଇଁ ଆମ୍ବାର୍‌ବିକ୍‌ଟି ଏବଂ କାରନ୍ତିର୍ବୀର ଦ୍ୱୀପ-

ვიყავითოდ და, იასნია, ისედაც სუ ჩავი ღოდით ნახალოვების კლუბშით და პროსტო ვითომებლაც იქჩავდიგართ იქითკენო სკამეიკები რო იყო იმ ადგილებში დაწელით და დავეცუდეთ იქან.

ეგრე უნახავთ მოკლეთ. იმის ყველა მოძრაობას უკვირდებოდი ეგრე უცნაბიჯიდანო, გვრიტისამ თქვა. ლაპარაკა არ გვესმოდა და ბევრი არც ულაპარაკია რა ქურდის საქმეა ბევრი ლაპარაკი, პროსტო ეხლა, ესე ახლობლებში თუ დავკადებით და ტებილად გავიხსენებთ, თორე ბევრის მოლაპარაკე ქურდი მე საიდან მინახიაო, ნათლიაჩემი ამბობს.

ხოდა, აქეთ ვიდეექითო და იმას ანგარიში არ მიუცია. არც უფიქრია ეგენი ვის არიან, მანდ რო დაყუდებულან და იყურებიან აქეთო. ქურდი იყო, იმას ხალხის არ ეშინოდათ, ეგრე თქვა გვრიტისამ. გამხდარი-გამხდარი, სროკებიდან ახალი მოსულიონ და რო მორჩია იქ ლაპარაკი როგორც აქედან უყურებდით, ვიზეც იყო ამოყოლილი, იმას გაუყარა პადრუჩკიონი კეპკა გაისწორან და წამოვიდა პირდაპირ სადაცას ჩვენ ვიდეექითო. ჩვენც ვეღარ გავინძერითო. თან რო ფიქროვ, რო გზაზე აქეთ ააქ, რო ქუჩაზე გავიდესო, მარა თან მიგეხდიონ, რო ჩვენენ ვენ წამოვიდათ. და რო ჩამოგვიარეს, გამერდა, გამაიხედა და ამ პოპსით: რა იყო, როგორ ვაო?

ეგრევე დაგვაჯახაო და ცისიო, მე ჩემთ  
თავი არ დამინახია, მარა იასწია გავშავ  
დიო. გამწვანდა რა, მე რო ვიტყვი ხოლმე  
და სხვებიც ხომ, ოთხი-ხუთი ბიჭი ვართა  
და ვერ ვაძლევთ პასუხსო და მოვიდ  
უფრო ახლოსო და კითხვას პასუხი უნდამო  
თუ კაცი ხარ, ეგრეაო და თუ კიდეო...  
კაროჩერა.თან ისე გვითხრა, რო პრაზიდ  
და რამე კი არაო, მარა არც პროსტო გა  
ცინებითო. კაროჩე, სერიოზულში და ცირ  
ვა?

အရာတွေ၊ အမာတ ဖျတ်ခွာစာတဲ့ ပိုနိုက် မာန တာဆုံး ကိုဖော် ဖျတ်ခွာ၊ ပုံစံ တွေ ဖြေရှင်းကြ အနေ

ესლა გვირთისა მამაჩემს უუბნებოდა  
იმ დღეს ნასწარლი ბაზარით მერე კოლა და  
ბაზარში გავაჩერე, თუ გახსოვს იმ კო-  
ლასაც, თურმე, როცა უძანში თამაშობდა  
და იქ ზედმეტ ხალხს დაინახავდა რი-  
უყურებდენ, ეგ სიტყვა ქონდა. რო გამოიხე-  
დავდა და რა არი, ბიჭო, ცირკიაო, იტყო-  
და პრაზიანთ და დაიფერთხებოდენ ესე-  
ნი სანამ ჰატარები იყვნენ. თუ ვინმე ეტყო-  
და, ცირკი არ არიო, ეს კოლა კიდე გაუგ-  
ძელებდა, აბა თუ ცირკი არ არი, რა-  
უყურებთო. ხოდაო, ეგ რო გვითხრა ბიჭი-  
კო მანთაშოვმა, ცირკიაო, და არაო, რი-  
უთხარითო, ვიფიქრე, რო ეგეც ეგრე-  
გვეტყვისო, მარა სულ სხვარამე გვითხრა  
— კაია თუ ცირკი არ არიო.

ეგრეო და აქ უკითხია ბიჭიკო მანათაშოვს, ვისა პარავთო, სად დადიხართო და ამათ უთქვიათ, უბანს გარე ვიპარავთო, ჩეენ უბანში ხო არ მოვიპარავთო. და აქ კიდე უკითხია უჟე სახელები, ვინა ხართ, კი ამბობთ, იპარავთო და მე კიდე არ გამიგია ძმაოო და მეც მომიპარია რაღაცებიო უსაფრთხოებით მის მომისართვით?

და თქვენ გაგიგიათ, ძე რა ძომიპარია? კაროჩე, გაუშვა დიალოგი ამათთან. მერე ჩაიკუნცხაო, ცალი ფეხი შეიკეცა და ეგრე იჯდაო და ჩვენც ჩაიკუზეთო და ეს პირველი ჩაკუზვა იყო, რო ეგრე ქურდთან ჩაიკუზეთო. ვინც ახლდა, ის იყო მაგის ძველი ძმაცუი, არ იპარავდა და რამები, მარა ძველი ამხანაგი იყო, ერთათ გამო-ეტარებინათ ცხოვრება და იმიტო, იმას მოყოლია სხვებთან საქმეზე, ეხლა რო-გორც ვხვდებიო, გვრიტისამ თქვა. ფიქრობდა, ესენი პატარები არიან და ჯო-ბია, რამები თავიდანვე იცოდენ და თუ წამოიზარდენ კარგათ, ეგება პადელნი-კათაც გამომადგეს რომელიმე. მაშინ, აბა, რას მიხვდებოდა, მარაო მთავარს მივხ-ვდი, ქურდობა რა ბაზარია, უფრო კი არ მივხვდი, ვიგრძენი, რო ამხელა ძალის კაცი იყო, უარი უბრალოთ ჩასმოლი კაცი.

ჩემი, პგრ-ის უსოფალობის საცხოვ  
ჩაჯამა რა, მე რო მკითხო.

საკულტურული მეცნიერებების სამინისტროს მიერ და მის მიერ გვიყვარეთ და მიმდინარეობს ხან ასე ვატრიალური და მიმდინარეობს ხან ისევ. და მიმდინარეობს ხან ასე ვატრიალური და მიმდინარეობს ხან ისევ.

აბა, ეგეთები გაუშვა ნათლიაჩემა  
გვრიტისამ.

ყველა უსმენდა მოწონებით და მეც რო  
გითხრა, ჩემზეც იმოქმედა ისე კარგათ  
მოყვა, მარა ჩემი ტვინი ხო იცი, მე ჩემი  
ვაპროსები მაქ ყოველთვის. არ ვიცი მაზა-  
ვიერი ვარ და მაგიტო, არ ვიცი ეგრე მაქ  
მოწყობით.

უკვე ერთხელ ითქვაო, მამაჩემმა, მარა  
ამ გახსენებებში ვართო და ჩვენგან წასულ  
ქურდებს გაუმარჯოსო და ეგ დავლიერ და  
მეტქი, კოლამ რაღა ენა, კოლამ.

და გვრიტისა ამბობს, აი, ტორნი კაციო, აი ქურდულის მცოდნე კაციო, ვაპროსი არ დატოვა ჩემ მონაცყოლშიო. ეს დააინტერესა, რაც არ დავამთავრეო. ეგრეო, ქურდულს დაშთავერებული უყვარსო და



01.03.1993. სადღაც წამიკითხავს (ყველაფერი ზუსტად უნდა აღნუსხსხოს და მიუთითოს კაცმა, შეხსიერების ნდობა არ შეიძლება) ასეთი, საკმაოდ გრივრული, გამოსადეგი და გასათვალისწინებელი აზრი - არაა საკმარისი, მხატვარი, ხელოვანი თუნდაც რომელიმე ელიტარული ჯგუფის გემოვნებას შეესაბამებოდეს. ეს ვერ მოგცემს დამშვიდების საბაბს. აუცილებელია, შემოქმედმა დროის ჩარჩოები, სამანი გაარღვის და მთელი არსებით მომავისისკენ იყოს მიმართული, ამასთანავე, მდგრადობას, წარუკალის ნიშანს უნდა ინარჩუნებდეს, რაც, ალპათ, ყველაზე არსებითი პირობაა. ასეთი რამ, ვფიქრობ, ყველა ნამდვილ ხელოვანს მოეთხოვება. უნძლობი საამისოდ არ გამოდგებიან და მათი გარჯა, რაც არ უნდა ეცადონ, ათეულობით ტომები რომ დაანუნონ, სასურველ ნაყოფს ვერ გამოილებს, დროის და ქალალდის ფუჭი ხარჯვა იქნება.

მთავარია, თავისთავადობა შეინარჩუნო, მოუარიმას, რაც ბუნებამ მოგმადლა და თანაც მხოლოდ ამის იმედად არ დარჩე, უნდა ეცადონ, გააღრმავონ, გაამდიდრო შენ ხედი, რაც უთუთურ რაღაც კანონზემიერებას ემყარება. შემში ფესვების გადგმული ნიჭისა და უნარის რამდენადმე სრულყოფილ გამოვლენას დრო სჭირდება. სავალალი ის არი, რომ სიცოცხლის მანძილზე (გულსაცლავად მოკლეა იგი) ვერ ასწრებ შესაძლებლობების თუნდაც სანახევროდ გამომდევნებას.

რას იზამ, უნდა დასჯერდე წლების იმ შეზღუდულ რაოდენობას, რაც უზენაესმა გინებალობა. ვინ არ იცის - ადამიანი ისეთი ამოუყორძავი ჭურჭელია, სამასი ნელიც რომ ჰქონდეს განაღლებული, იცოტავებს, არ იმყოფიებას.

ერთიც სათქმელია: რაც ადამიანთა მოგმის ისტორია, ცივილიზაცია არსებობს, იმდენი დიდებით რამება შექმნილი (დაკარგულს და გამჭრალს თავი გავანებოთ), მეტასების წარითხებასაც ვერ ვასწრებთ და თითქოს არც არის აუცილებელი, დაგროვილს, დაწერილს რაიმე მიმართოთ, მაგრამ ერთ ადგილზე გაყინვა, მხოლოდ ძველის ჩიჩქა და ლეჭვა, შემოქმედებითი ვროცელის შეჩერება, მომაკედინებელი იქნება - ყოველგვარ ცნობისწარისა და თვით სიცოცხლესაც ჩაკლავს.

06.08.1989. ხშირად მემართება ასე - გონებას ბინდი ეფარება. ვიღაცის დასაფლავებას ვნანობ. ვერ ვისხევებ, ვისა. ზუსტადც რომ ჩამენერა, არაფერი შეიცვლებოდა. იმისი გვარა-სახელი არავის არაფერის ეტყოდა. რამდენი ვინმე ქრება ასე უკალოდ და დავინციდება. წერთა როგორი გამომისავალი, ასეთ აბრადულ, დაულაგებული სურვილებს ლექსის სახე და ფორმა რომ მიეცეს. აქ მეტი სიფრთხილე, ზომიერება და სინატიფე იქნება საჭირო. აღარ მახსოვრება, ასეთი რამე დაგწერე თუ ანი მომინებას მას საჩირირო თემასთან შებმა!..

## ემზარ კვიტაიშვილი

# დღიური

## ნიგილი და გამოცემა

1

ნიგილი და გამოცემა

2

ნიგილი და გამოცემა

3

ნიგილი და გამოცემა

4

ნიგილი და გამოცემა

5

ნიგილი და გამოცემა

6

ნიგილი და გამოცემა

7

ნიგილი და გამოცემა

8

ნიგილი და გამოცემა

9

ნიგილი და გამოცემა

10

ნიგილი და გამოცემა

11

ნიგილი და გამოცემა

12

ნიგილი და გამოცემა

13

ნიგილი და გამოცემა

14

ნიგილი და გამოცემა

15

ნიგილი და გამოცემა

16

ნიგილი და გამოცემა

17

ნიგილი და გამოცემა

18

ნიგილი და გამოცემა

19

ნიგილი და გამოცემა

20

ნიგილი და გამოცემა

21

ნიგილი და გამოცემა

22

ნიგილი და გამოცემა

23

ნიგილი და გამოცემა

24

ნიგილი და გამოცემა

25

ნიგილი და გამოცემა

26

ნიგილი და გამოცემა

27

ნიგილი და გამოცემა

28

ნიგილი და გამოცემა

29

ნიგილი და გამოცემა

30

ნიგილი და გამოცემა

31

ნიგილი და გამოცემა

32

ნიგილი და გამოცემა

33

ნიგილი და გამოცემა

34

ნიგილი და გამოცემა

35

ნიგილი და გამოცემა

36

ნიგილი და გამოცემა

37

ნიგილი და გამოცემა

38

ნიგილი და გამოცემა

39

ნიგილი და გამოცემა

40

ნიგილი და გამოცემა

41

ნიგილი და გამოცემა

42

ნიგილი და გამოცემა

43

ნიგილი და გამოცემა

44

ნიგილი და გამოცემა

45

ნიგილი და გამოცემა

46

ნიგილი და გამოცემა

47

ნიგილი და გამოცემა

48

ნიგილი და გამოცემა

49

ნიგილი და გამოცემა

50

ნიგილი და გამოცემა

51

ნიგილი და გამოცემა

52

ნიგილი და გამოცემა

53

ნიგილი და გამოცემა

54

ნიგილი და გამოცემა

55

ნიგილი და გამოცემა

56

ნიგილი და გამოცემა

57

ნიგილი და გამოცემა

58

ნიგილი და გამოცემა

ტუიზბე (სახელები მთლიანად უნდა შეემნარჩუნებინა) დამენერა თავისუფალი ლექსი, რომელშიც მეტი ტრაგიზმი იქნებოდა და მეტადაც შესძრავდა წაკითხველს, მაგრამ როგორც ხშირად მემართება, განზრახვა განზრახვად დამრჩა. ყველაფერი ბოლომ-დე მქონდა გათვლილა, მაგრამ გადავდე და გადავდე. ანი მეეჭვება, მივუბრუნდე ჩემი ცხოვრება წრიალსა და რაღაცის ასაწერად მზათებაში ჯათის.

**10.06.1998.** ხევბას, ხე-ხილს როცა ვუ-  
ყურებ, ფიქრი მუდად შორეულ წარსულ-  
ში, ბავშვობაში გადამისვრის და თვალინი  
მიღდას ჩვენი ეზო, გურიაში, რომლისგა-  
ნაც განსაკუთრებული მადლი გამოყვავა-  
ახლაც ასე დამემართა - ვარდს ვუყურებ-  
და ხსოვნაში სულ სხვა რამე იჭრება. ეს  
იმდენად ბუნებრივად ხდება, დროთა მო-  
ნაცვლეობას ვერც ვგრძნობ, მითუმეტეს,  
თქვენ ვერ იგრძნობთ.

ფანჯრიდან გადავცექრი: ეზოში, დაბლა, ცხელი ქარი აწვალებს ლეღვის ჩვილს, ჯიშიანი ლევვის ყურებივთ ჩამოგრძელებულ ფოთლებს, ბლის ფოთლებში არეულს. ასე თუ გაგრძელდა, ეს ნედლი, ხაოიანი ფოთლები თანაბარი მოჩარებას. უცნაური მცენარეა ლეღვი - არასოდეს ყვავილობს - პირდაპირ ნაყოფი გამოაქვს - ზოგიერთი ორმოსავლიანიც არის. თუ ივარგა ნაყოფმა, შიგნიდან არ გამოშრა, იცოცხლე, გემრიელია. მოწყვეტა არ უნდა დაგიგვიანდეს, თორემ მოიფლაშება, ამძალდება. პირთან, ნასვრეტში, ცრემლი-ვით ჩაუდგება ლურჯი, მოტკბო წვეთი, სინათლეზე უციმიციმებს. ლეღვმაც, თუ არ გადაახალისე, გარშემო არ შემოუბარე (აღარ მახსოვს, ზედ რაიმეს ამყნიან თუ არა) ატამივით იცის დაგლახება. უგემრი-ელესი იყო დიდი, ყვითელი ნაყოფით დახუნდლული ატმის ხე, სოფელში, ჭის გვერდით რომ გვედგა, ტრიფოლიატის ღობეს-სთან, მაგრამ ორ-სამ წელინადში დაკო-ლინდა. დაპატარავდა. გემოც შეეცვალა, ვეღარ ვცნობდი. გამოცდილმა მეურნემ მითხრა, რომ დამყანა ჭირდებოდა და გაიხარებდა, ალორძინდებოდა. იმ ჩვენს ეზოში, უკანა მხარეს (ბებიაჩემის გარდაცვალების მერე პირველად ის ნანილი ჩამოგვართვეს), ვეგება აღვის ხის მახლობლად, იდგა თაფლივით ლეღვი, თეთრი, წვნიანი, სიმწიფეში კანი ესერებოდა, თეთრი ზოლები აჩნდა სიგრძეზე, გასწვრივ. იმისია ჭამა ნამდვილი ნეტარება იყო, ენაზე დრენ-ბოდა. ბებიაჩემი, რატომდაც, „თათრულას“ ეძახდა. ალბათ, სადმე იქნება შენახული ის ჯიში. ასევე მიყვარდა დეკორატიული შესახედაობის დიდი, ქისასაგით ჩამოგრძელებული, ღვინისფერი (იზაბელას ფელამუში გაიხსნეთ) ლეღვი, არა-ნაკლებ გემრიელი. სქელი და რბილი კანი ჰქონდა, იოლად იფცევნებოდა, ორი-სამი ცალი ამოგყორავდა.

**20.06.1998.** სურასათ-სანოვაგის შესაძე-  
ნად, მე მიწევს ხოლმე სიარული. ეს კიდე-  
ვაც მეხალისება. ადრიანად, სიგრილეში  
მირჩევნია სახლიდან გასვლა. მიყვარს სი-  
უხვე - ხილითა და ხორაგით დაზინული  
დახლების თვალიერება (სეზონი უკვე  
დაწყებულია), ათასნაირი შეფერილობისა  
და მოხაზულობის სურათები მრჩება თავი-  
ში, ვალაგებ, ვინიშნავ. ესაა ჩემი მოუსვე-  
ნარი წარმოსახვის ერთ-ერთი ყველაზე  
მძლავრი მკედავი, ბიძგის მომცემი. ბევ-  
რი რამე დამაწერინა ასე ქუჩა-ქუჩა და  
ბაზარ-ბაზარ ხეტიალმა (ვასილი როზა-  
ნოვი მუდამ მიანერდა ხოლმე, რომელიც  
აზრი სად მოუვიდა). ამიტომაც ჯიბეში  
სულ მიდევს პასტა, ფურცელი, რათა გა-  
ელვებული სურათი თუ ფრაზა არ გადა-  
მავრნედეს - ერთი შთაბეჭდილება მეორეს  
აძირაბს.

ნინა მხარეს ლალად მოვიყელი, ხალხს  
იოლად ვუქცევ გვერდს. აქ, შედარებით,  
სისუფთავეა თვალის მაამებელი, მოუბეზ-  
რებელი სილამაზეც იგრძნობა. სხვა გუ-  
ნებაზე ვდგები, როცა უკანა მხარეს გავ-  
დივარ. გასსენებაზე ახლაც სული მეხუთე-  
ბა. დეზერტირების ბაზრის გაქონილ, გა-  
ზინტლულ გვირაბში აუტანელმა შმორმა  
კარგა მანძილზე გაიყოლა კუდი - საშინე-  
ლი გულის ამრევი, მუავე. ცხვირზე ვიტა-  
ცე ხელი, ის მურდალი სიმძალე რომ არ  
შემესუნთქა. ალაგ-ალაგ, ამოტეხილ  
ლრმულებში მღვრიედ ჩანდა დამწნილე-  
ბული ჯონჯოლისა და კიტრის კასრებში  
ნაყენი და დაყირავებული, წურწურით გა-  
დალვრილი წვირე. სხვა ამაზრზენ სისაძა-  
გლებთან ერთად, ესეც სიცოცხლის სახ-  
ეა, ადამიანთა ყოფის და საცხოვრისის  
მყრალი და განუყრელი თანამდევი... რო-  
გორ გინდა აიცდინო, თვალი აარით?

**09.09.1992.** ხშირად მიფიქრია: ვინ მო-  
მცა იმდენი ჭეულა, სხვა დაგარიგონ და მეც-  
დამრჩეს. ისე, თუკი შემეძლება, დამა-  
დლებით, არავის არაფერს დავამადლებ.  
ცოდნა სხვა ღირებულებაა, მაგრამ დიდად  
ვერც ამით დავიკვეხნი. ყველას გვახსოვს  
გურამიშვილის შეგონება, მოქნილ სტრი-  
ქონად ჩამოსხმული: „ცოდნა თან ახლავს  
მცოდნელსა, რაზმცა დაეტარებას...“ ან  
და: „მას გვცილების ვერავინ, არ არის წას-  
ართმეველი...“ რაც არა მაქვს, ვინ წამართ-  
მევს ან რა უნდა მახლდეს, გარდა მოუშო-  
რებელი ხელმოკლეობასა და უგუნებო-  
ბისა. წელინადი წელინას ცვლის, მა-  
ჭენაობს დრო და სადარდებელი არ მაკა-  
ლდება, პირიქით, მემატება, მიასკეცდება,  
... ანუ არა არა არა არა არა არა არა

კინ აღსუსხავს, რაძდეხჯერ შიშიქა-  
რავს და დავსჯილვარ; სულ მგონია, ანი  
მაინც ვისწავლი ჭყუას. მეტი არ იყოს ჩემი  
მტერი, მუდამ ერთსა და იმავე ბედოვლა-  
თობაზე წავიმტკრევ ხოლმე ფეხს,  
უთა ვპოლო მიდებ-მიდებაში. ლექსების,  
წერილების და კიდევ ზოგირამების წერა-  
არ მეტლება, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი  
ნუგეშია. დავტერდი და რაც შემძინა გა-  
მოცდილებამ, ოსტატობამ, კარგად ჩანს,  
სხვათა ხელის შემყურე ვარ. მიამიტობა,  
გულუბრყვილობაც ვერ მოვაშალე - წა-  
შეტანი იოლია ჩემი გაცურება. დარწმუ-  
ნებული ვარ, სარფის მოყვარულნი კიდევ  
მრავალგზის გამომიყენებენ, ძალ-ღონეს  
გამომაცლიან და ცარიელზე დამსვამენ,  
მაგრამ ეს ვერ შემიცვლის ხასიათს; კვლავ  
ვიღაც-ვიღაცეების იოლად დასაყოლი-  
ელებელი მსხვერპლი გაეხდები. ამას წი-  
ნასწარ უნდა შევურიგდე.

**13.08.1992.** ოტია პაჭკორია, ვისთან ერთადაც, გარემობათა გამო, დავამთავრულ უნივერსიტეტი, ფრიად იმპულსური პიროვნება იყო, ხელად აღეგზნებოდა ხოლმე. იოლად აპყვებოდა კაცს, ასაკისთვის შეუფერებელი ბავშვური აღტაცება ეძალებოდა. ის და გივი მალულარია, გადასახლებიდან დაბრუნებულები, ჩვენს კურსზე დასვეს. ოტია და მე მალე დავახლოვდით, ალბათ უფრო იმიტომ, რომ მამაჩერიც რეპრესირებული იყო. ოტიას ნაკითხობაზე, ლიტერატურასა და ისტორიაში მის განსწავლულობაზე ბევრჯერ თქმულა. წიგნების კითხვას და მუშაობას კაიგვარიან სმას უთავსებდა. ვიცოდი, პროზას წერდა. ერთხელ სახლში ამიყვანა, პეტრიაშვილის ქუჩაზე და დიდხანს მიეკითხა თავისი ნანერები. კარგი თვალი ჩანდა, მაგრამ ცოტათი ამორფული მეტვენა, არც მოვისმინე. ვუთხხარი, რომ მისი მანერა პშიბიშევსკის მაგონებდა. გამომიტყდა, პშიბიშევსკი ჩემი საყავარელი მწერალია, ძალზე მარჯვედ ჰქონდა აღნერილი გადასახლების ადგილზე. რვა წელი მოიხა-

და. ერთგან (ეს უკვე თბილსური ეპი-ზოდები იყო) კარლო ქილარვებინი ჰყავდა გამოყვანილი, შტანინერის მოძღვრებით თა და ინდური ფილოსოფიით გატაცებული უცნაური, გარემოსთან შეუთავსებელი არსება, რომელიც უეცრად, მონოლოგის წარმოთქმისას, თოვლში ჩაჯდება, ნირვანაში დანთქმულივით გაირინდება. როცა კარუჩი ქილარვებინი ვიცანი და პერსონაჟის პროტოტიპად დაგვასახელე, გაეხარდა და კიდევც გაუკვირდა, სხვებ-საც წავუკითხე და ვერ მიხვდნენ.

თამარების გვილეული და მარატიანების თავისი თანატოლებისა. ზედმინევნით ზუ-  
სტი, მოხდენილი შტრიხები ჰქონდა დაძებ-  
ნილი. გივი ძებლაძის გვერდნა ევროიანი  
პორტრეტი მაღლევე გამოაკვეყნა და ყვე-  
ლას მოეწონა. მუხრან მაჭავარიანზეც  
ჰქონდა ამხელავე დაკვირვება. ის არ დაუ-  
ბეჭდავს.

მახსოვეს, ედიშერ ყიფვიანის რომანზე

მოდას ამოილო. მეორე დღეს ედიშერმა ბოდიში შემო-  
უთვალა. გავცხარდი და მაპატიე, წერილი  
ისცევე გამოაქვეყნე, როგორც არისო. ოტი-  
აბ უკან აღარ დაიხია და მგონი იმ წერილ-  
ის დედანიც მოსპო. დამდურებით არ დამ-  
დურებაან ერთმანეთს, მეგობრული ურთ-  
იერთობა შეინარჩუნეს.

ერთხელ, უნივერსიტეტის პირველი  
კორპუსის მეორე სართულზე (ზამთარი  
იყო, პალტი მეცვა, მაგრამ გარდერბში  
არ ჩამიბარებია), კიბის ახლოს ოტია შემს-  
ვდა. დაინახა, ჯიბეში წიგნი მედო და რასა  
კითხულობო, მკითხა. პატარა ფორმატის  
პრუსტი იყო, ფრანგოესის თარგმანი. ამ-  
ოვიდე და ვაჩვენე. სახე გაებადრა, კარგი  
ბიჭი ხარო, მითხრა, მხარზე ხელი მომი-  
თათუნა.

სუფრაზე, სტუდენტობის დროსაც  
ხშირად ვიყავით ერთად. რეზო ჭეიშვილი  
და მე თითქმის არ ვშორდებოდით ერთმა-  
ნეთს. დანარჩენი ჩვენი ამხანაგებიც - თე-  
მურ მალლაფერიძე, რეზო სირაძე, გრივა-  
ერ ფარულავა, პავლე ჩარკვიანი, კაკო-  
ბრეგაძე, თამაზ მამულაძევილი, ბორის  
დარჩია, გიგი ხორნაული და სხვები, როცა  
სტიპენდიას ავიღებდით, ან ცოტაოდენ  
ფულს ჩავიგდებდით, დროს ვატარებდით.  
იყო ერთი ხორბოცი, ათასნაირი იმპროვი-  
ზაციები, ვმასხრობდით, რას აღარ ვყვე-  
ბოდით. ოტია გახარებული და გაოცებუ-  
ლი გვიყურებდა, როგორ მშერს თქვენი,  
ასე ლალად რომ იქცევით, ყველაფერზე  
გეტყობათ, რეჟიმის ხელი რომ არ გიგრძ-  
ენიათო.

ოტიისთან ერთად გადანასახლები და  
ჩვენთან მესამე კურსზე დასმული გივი  
მაღულარიაც ასევე ძალიან განათლებუ-  
ლი და ნიჭიერი, მაგრამ მეტისმეტად მო-  
რიდებული, ჩუმი კაცი იყო, უფრო კონი-  
აკს ეტანებოდა. მოგვიანებით საუცხოო  
ესსეები და უაღლესად მნიშვნელოვანი  
რომანი დაწერა - „გაცევა“, სხვადასხვა  
ეროვნების უცნაური ტიპები ჰყავდა დახა-  
ტული, პატიმრები. გივი გეგეჭყორს და მე  
გაგვენდო, ნაგვაკითხა. ორივემ გამოვ-  
თქვით ჩვენი აღტაცება. მაგრამ ვერაფ-  
ერს გადავწყვეტით (გივი და მე „ცის-  
კარში“ ვმუშაობდით), თვითონაც შეგუე-  
ბული იყო აზრს, რომ იმხანად მისი დისი-  
დენტური რომანის დაბეჭდვა არ მოხ-  
ერხდებოდა. გივი მაღულარიას პროზაში,  
რამდენადმე, სიტყვამრავლობა შეინიშნე-  
ბოდა, მაგრამ მისთანა დიდი კულტურის  
ადამიანი უფრო მეტად დასაფასებელია  
საწყალი კიბომ იმსხვერპლა. დარჩა ქერი-  
ვი მეუღლე, მრავალი სიკეთით შემკული  
ადამიანი მზია ყურაშვილი და ერთი გოგ-  
ონა.

ორიას სახეზე არ ედო მაინცდამაინც  
ჯანმრთელის ფერი. სიგარეტს ბევრს ეწევ-  
ოდა. როცა რაიმე საწყებს, გასაბარაზე-  
ბელს გაიგებდა, ფერი მთლად ეკარგებო-  
და, ფითრდებოდა, ნესტოები უცახცახებ-  
და, ებერებოდა. ნამეტანი გულეკეთილი-  
იყო, უყვარდა კაცის გახარება. სტუდენ-  
ტობის დროს (თანაკურსელ ჟურნალ-  
ისტებს ვეჯიბრებოდით, არმაზ სანქციი-  
ისა და ზაალ უვანისა გუნდს) ფეხბურთიც  
კი უთამაშნია ჩვენთან. ერთხელ პენალტისა-  
უფლება მოვიპოვეთ და გვთხოვა - ბიჭები-  
ბო, ამ ბებრული, ჰალათებისგან დაჩეხე-  
ილი ფეხით (მართლაც, დაკითხვის დროს,  
ენამებინათ და ფეხები დასერილი ჰქონ-  
და) დამარტიყმევინეთო. დაარტყა და ააც-  
დინა კარს. არ დაგვიყვედრებია. თვითონ  
სამწრისა და ასოდები.


မუდამ გულდამძიმებული ვიგონებ იმ დროს, როდესაც „ცისკრის“ რედაქციაში ძირეული ცვლილებები მოხდა და, გადა ადგილებათა გამო, რედაქტორად საზიზ-ლარი არსება, პირნავარდნილი კარიერის-ტი და პროვოკატორი ხ.ბ. დანიშნებს. გაგ-ონილი მქონდა, რომ სიმონ ჩიქოვანი ამ მოჩეკისტო ფუნქციონერს „მიკრობენ-

რიას „ეძახდა და ეს შეფასება ოდნავადაც არ არის გადაჭარბებული. ალბათ ვინმე შეისწავლის მის „საქმიანობას“, ათას საჩი-თირო რამებებთან დაკავშირებულს და ბევ-რი რამე გამოვლინდება.

ლადო გუდიაშვილს აქვს ერთი შეგზარული მთაბეჭდილების მომხდენი სურათი „ბოროტი ოჯახი“. ყველაზე საზარელია იმ პათოლოგიური „ოჯახის“ მამაკაცი წევრი, ყოველგვარი სიავის ჩამდენი (ამაზე გალესილი, ნიკაპქევეშ მიხატული სისხლიანი დანაც მიგვანიშნებს), ვისაც ანრიალებული, უცნაურად ნამახსული თვალები ნაცვენაზე აქვს. ალბათ იმას გავდა დროებით შუქდაშრეტილი ხ.ბ. და ნარმოსახვით ვხედავ - აჩქარებულ ელექტრომრიცხველივით როგორ ატრიალებდა ბუდეებიდან ამოვარდნილ ქვენარმავლის თვალებს. სინათლე თანდათანობით დატრუნებია, ერთგულ თანამშრომლებსაც მოუსულოერებათ, მაგრამ სახელდახსელო თაბირის ჩატარების თავი სადღა ექნებოდა, ასეთ პანიკაში ჩაგარდნილს და ნირნამდარს?!

ბალე კიდევაც დაითხოვეს რედაქტორობიდან ეს ურჩეული და „ცისკარს“ სათავეში ჯანსულ ჩარკვიანი ჩაუდგა. როგორც იტყვიან სამართლიანობამ იზეიმა. ეს იყო რედაქტორი ცხოვრებაში ყველაზე ნათელი და ნაყოფიერი პერიოდი, როცა მთლიანა აღდგა ვასტანგ ჭელიძის საუკეთესო ტრადიციები. ჯანსული ათ წელზე მეტხანს რედაქტორობა „ცისკარს“ და ამ დროის განმავლობაში არაერთი

უძნიდველოვანესი ხახარძოები გაძო-  
ქვეყნდა ქართული ლიტერატურისა.  
ომია პაჭარიასანი ურთიართობითან



დასასრული მე-13 გვერდზე











მისი მოსაწყენი ავტოსტრადების ქვემოთ რომ მეგულებოდა. ის იყო ორგანული ნაწილი იმ საუჯვეთა, მინის წიაღში რომ მოპოვებოდა. წიგნებში მოთხოვდილი იყო იმის შესახებ, მაძიებლები როგორ ამტკრევდნენ გრანიტის ლიფებს, როგორ პოულობდნენ მათში ჩასმულ ნითელ ძონს, ტოპაზს, ქრიზობერილს, თურმანილს, ზურმუხტს. მათ ხელში ეჭირათ ძვირფა-სეულობა, მინის ქვეშ გამოქვაბულის წყვიადში მიღიარდი წელი რომ გაატარა! ეს აზრი აღფრთოვანებას მგვრიდა. მეც მსურდა მარჯვნივ და მარცხნივ მეტრი-ალებინა ჩაქუჩი, კაკლის ნაჭუჭივით მეტვრია მინის ქრექი და ფერადი თვალები დღის სინათლეზე გამოქტანა. აი, რა მსურდა მეკეთებინა. და ეს ჩავრთე წიგნში.

დიდი სიამოვნებით აღვწერ ჩემ  
მშობლებსაც – მამაც და დედაც იუმორის  
გრძნობით დაჯილდოებული მშვენიერი  
მთხოვნელები იყვნენ და მეც ხალისით  
კვები მათ მიერ ნაამბობ შესანიშნავ ის-  
ტორიებს. ჩვენთან, სახლში კველანი ახ-  
ალგაზრდები ვიყავა ით და სიამტკბილობა-  
ში ვატარებდით წუთისოფელს.

მამა მეოცნებე იყო და სხვებისაგან  
განსახვავებულად ცხოვრობდა. ერთ მშ-  
ვენიერ დღეს მან თავი დაანება ოჯახურ  
ფირმას – მაშინ ათი წლის ვიქენბოდი, –  
და მარტოდმარტო გაემართა ნავით –  
მდინარე ოპაიოთი – ახალი ორლეანისაკა-  
ენ, რათა ამერიკული ჯაზის სათავეები-  
სათვის მიეკვლია. იგი რამდენიმე თვის  
შემდეგ გაბრუნდა შინ და ახლა უკვე სამ-  
უდამოდ გამოეთხოვა ფირმას.

შახ იცოდა ძალზე ბევრი რა და ჩვებ-  
შიც აღვივებდა ინტერესს იმით, რომ  
მოგვითხრობდა, მაგალითად, როგორ  
ამაგრებენ ხმინჯებს შუა მდინარეში, როგორ აუყვა ჯაზი აღმა მდინარეს, რათა  
ჩიკაგოში სრულყოფილებისათვის მიეღლ-  
ნია, ახალმოსახლენი როგორ მიიწვდონენ  
დასავლეთისაკენ – ოჰაიოზე ბარჯებით  
რომ ეშვებოდნენ და გემბანებზე სიმღე-  
რებს აგუგუნებდნენ.

ხოლო დედა ფილოსოფიური  
აზროვნებით გამოირჩეოდა და, როგორც  
იტყვიან, უცნაურობები ქვეყანას ერჩივ-  
ნა. ასე, მაგალითად, თუ პლაზმუ ინვა მუ-  
გობრებთან ერთად და საუბრით თავს ვერ-  
იქცევდა, დაპერავდა ქვიშას ქუსლს და  
ჩაგორდებოდა წყლისაკენ. ყველა გაოცე-  
ბით მიაჩირდებოდა, როგორ მიგორავდა  
ხელფეხგაჭიმული, სერიოზული სახით  
ზედ წყლამდე. მერე იქ რჩებოდა კიდეც –  
შორს შეკრებილთა ხმებისაგან – და სხ-  
ეულზე ტალღები გადასდიოდა. მას ხა-  
ლისს მატებდა არა მარტო უბრალო ინი,  
არამედ ცხოვრებაში უნესრიგობის შეტ-  
ანაც. ყრმებსაც ისე მიმართავდა,  
როგორც მოზრდილებს და უყვარდა,  
როცა პატარას, რომელიც იატაკზე მიხ-  
ოხავდა, ფეხს დაადგამდა კაბაზე ისე, რომ  
როგორც არ უნდა ცდილიყო, საბრალო  
ველარსად გახორცებულიყო.

ენაში მის ყურადღებას მოულოდნელი შეთანხმებანი იქცევდა. ერთხელ მე და მამა სამზარეულოში ბეისბოლის მატჩის რეპორტაჟს ვისმენდით რადიოთი – პიტს-ბურგელი „მეეკობრები“ ნიუ-იორკელ „გიგანტებს“ ეთამაშებოდნენ. ნიუ-იორკელებს ჰყავდათ მოთამაშე უეინ ტერვილინგერი. დედამ რომ გამოიარა სამზარეულოში, დიქტორმა სწორედ იმ დროს თქვა: „ტერვილინგერი უბერავს!“ დედა ადგილზე გაშეძლა და იკითხა: „რა თქვა? რა ენაზე ლაპარაკობს?“ მამამ აუხსნა: „ტერვილინგერი მოთამაშის გვარია. ის კარგად თამაშობს – უბერავს.“ დედა აღფრთოვანდა. მას შემდევ იგი ათი წლის მანძილზე მაინც სარგებლობდა ამ ბერადთშეხამებით. თუკი მას სურდა, მიკროფონის მუშაობა შეემონმებინა ან ისე დაეჭირა თავი, ვითომ რაღაც საიდუმლოს მეუბნება ყურში, ამბობდა: „ტერვილინგერი უბერავს!“ მას რომ საშუალება მისცემოდა კარნევილი დევიზი აერჩია გერბისათვის, ალბათ ამ ფრაზას – „ტერვილინგერი უბერავს!“ – გამოიყენებდა. ხოლო კარნევილ დევიზად აირჩია სიახლოეს პრივატული იდეა!“

„ՏԵՐՎԱԾՈՂ ԱՌՈՅՎԱՆԴԱԼՄԵՐԻՑ! Այս աշետո Շըսանձնեազո մժոծլուծի զբա-  
նացլունքն մը դա հիմն գցէն նկառածրու և սո-  
մամաւը, սեզուսու անրուս Շենցնարեծաս, մոյ-  
լու լամի պարագաս ուսց, րոմ პարգնոնորս մե-  
արնից առ համազարամատ գուածու դա եղամրածաս  
- տազու գործից առ տազու ագջունից.

ნიგნში აღვნერე მრეწველობის განვითარების დასაწყისიც, რადგან ის საინტერესო აღმოჩნდა. სანამ ფოლადი გაჩნდებოდა, ყველაფერი რკინისაგან იჭედებოდა, და ეს ყოველთვის მანცვიფრებდა. ნაჭედი რკინისაგან რელსებიც კი ისე კეთდებოდა, თითქოს შანდალიაო. ასეთ რელსებს მთელ ქვეყნაში ავრცელებდნენ. რბილ, ჭედად რკინას განსაკუთრებულ პუდლინგურ ღუმელში ამზადებდნენ, მუშებიც მეპუდლინგეთა – „ვულკანის ვაჟთა“ პროფესიონისტი ეთიანდებოდნენ.

მე ბევრი რამ შევიტყვე იმ პერიოდის

გატარებულ არდადეგებზე ვუამბობ. თვალ-ყური უნდა ადევნონ საკუთარ თავს, რათა შენი მონათხრობით მკითხველს თავი არ მოაბეჭრო მთვრალი კაცივით: „მერე კი ესა და ეს გავაკეთე, და ეს ძალზე საინტერესო აღმოჩნდა!“

მეორე მხრივ, მე ვხაპავ - ვინ უწყის  
რამდენის! - ბავშვის აღფრთოვანებული  
სულიდან და მოზარდის დაუდგრომელი,  
მშფოთვარე სულიდან, - ხოლო ეს ბავშვი  
და ეს მოზარდი ხომ მე ვიყავი!

ჩემ პირად ურთიერთობებს ახალ-

გაზრდა კაცებთან არ ვეხები, რადგან არ

მე ვიცენობ ერთ მწერალს, რომელიც  
თავის მოთხოვნებში აღნერს მისი  
მშობლების არცთუ სასიამოვნო პორ-  
ტრეტებს. მაგრამ მიუხედავად ამისა,  
ორივეს ახარებს, რადგან დედა სიამ-  
ოვნებით კითხულობს მამის ნაკლოვანება-  
თა შესახებ, მამა კი – დედის ნაკლოვანებე-  
ბზე. ასე მგონია, კარგის გარდა არაფერს  
ვამბობ იმ ხალხზე, ჩემ წიგნში რომ ვახ-  
სენებ. უფრო მეტიც; ვცდილობ, ისინი  
უკეთაც გამოვიყენონ, რადგან ვთვლი,  
რომ საჭირო არ არის, მწერალმა აკრიტი-  
კოს ადამიანები, რომლებსაც საბეჭდ მოზ-  
ყობილობებთან მისვლის საშუალება არ  
აქვთ და თავის დაცვა არ შეუძლიათ.


იმედი ნუ გექნებათ, რომ წიგნი დაგეხ-  
მარებათ, განიმტკიცოთ მოგონებები. თუ  
ეს მოგონებები ძვირფასი არიან  
თქვენთვის, ეცადეთ, თავიდან აიცილოთ  
მათი ქაღალდზე გადატანა, რადგან ეს  
მათი დაკარგვის უჟეჭველი გზაა. თქვენ ვერ  
დაანერთ მემუარებს ისე, მსხვერპლად არ  
გაილოთ საკუთარი მოგონებანი. მემუარე-  
ბი მოგონებებით იკვებებიან და ბოლოს და  
ბოლოს ნოქავენ კიდეც მათ.

საქმე იმაშია, რომ მწერალს სინათლისა და ფერადოვნების განცდა აქვთ მოგონებას სიტყვად ქცევის პროცესში. თუკი ორი-სამი დღე მიგდით რთული აბზაცის დახვენაზე ან მთელი კვირა – მოვლენის აღნერაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ მწერალი უფრო მტკ დროს ხარჯავს მოვლენის აღნერაზე, ვიდრე ამ მოვლენანამ ცხოვრებაში მოითხოვა. გარდა ამისა, ეს დრო აღნერი-სას უფრო დაძაბულად მიედინება.

ამიტომ წერას რომ ამთავრებთ,  
აღარაფერი გახსოვთ, გარდა საკუთარი  
აღწერისა. რა სიმართლითაც არ უნდა  
გადმოსცეთ მოვლენა, თქვენ შექმნით  
მონსატრი, რომელიც ნოქავს მას. ეს ბევრ-  
ჯერ გამომიცდია, რადგან ხალისით ვა-  
ცევ მოვლენებს ქაღალდის ფურცლებად.  
როცა აღვწერ მოვლენას, მოგონებანი ამ  
მოვლენაზე, ეს მოფარფატე, მოუხელთე-  
ბელი ნაფლეთები ფერებისა და შეგ-  
რძნებებისა, იფანტებიან. მათ ცვლის შე-  
ქმნილი თხზულება. იგი იქცევა თქვენი  
სახლის პარმაღლე მიგდებულ, თქვენი  
შვილისაგან განსხვავებულ უცხო ბავშ-  
ვად, ხოლო თქვენი საკუთარი შვილი  
იკარგაბა.

მექსიკება არასაგნობრივია. საგნები  
ნიადაგ ავინტროებენ მას. ფოტოსურათებ-  
ის ალბომი ერთსა და იმავე დროს განამზ-  
ყიცებს და არღვევს კიდევ თქვენ მოგ-  
ონებებს მოგზაურობის, საკუთარი ბავშ-  
ვობის თუ შევილების ბავშვობის შესახებ.  
თქვენ უკვე აღარაფერი გახსოვთ თქვენ  
მოგზაურობაზე ამ ორიოდე უბრალო  
ფოტოსურათის გარდა. თქვენ სალებავე-  
ბით ასახეთ შუქის თამაში წყალზე და ამის  
შემდეგ უკვე ვეღარასოდეს შეძლებთ  
დაინახოთ ეს თამაში სხვაგვარად. იგივე  
ხდება ფლამანდიელთა ტილოების გაცნო-  
ბის შემთხვევაში...

ნიგინის წერა იგივეა, რაც ბავშვის კვება. ნებისყოფა აქ თითქმის არაფერ შუაშია. თუ ყრმა ღამით იტირებს და თქვენ მხოლოდ საკუთარი ნებისყოფის იმედით ადგებით საწოლიდან და აჭმევთ მას, მაშინ ყრმა მშიერი დარჩება. თქვენ ფეხზე გაყენებთ სიყვარული. ნებისყოფა სუსტია, სიყვარული – ძლიერი. ბავშვისთვის რომ ადგე, საჭირო არ არის, საკუთარ თავს მათოახი მოუღერო. თქვენ დგებით იმიტომ, რომ გიყვართ ის. იმავე მიზეზით მიღიხართ საწერ მაგიდასთან. ამაში არაფერია არაბუნებრივი. რისმე მგზენებარე სიყვარული არ ენინააღმდეგება ბუნებას, მითუმეტეს – ადამიანურ ბუნებას. ჩვენ ამ ქვეყანაზე სიყვარულისთვის ვარსებობთ.



ქრისტინე ბებია

## სტუმართმოყვარე ქართველი

ღარიბ ქართველს ეწვია სტუმარი.  
— ცოლო, გამოგვიტანე პურ-მარილი.  
სირცხვილი არა ვჭამოთ.

— კი, ბატონი! სტუმარი ღმერთმა  
გვიმრავლოს, ადღეგრძელოს და ადიდოს!

დაფაცურდა, დატრიალდა ცოლი,  
თუმც კი სახლში საჭმელი არ იდო. სტუ-  
მარს არარა მოვაკლოთ. სტუმარი ღვთისა  
არისო.

ნეკნები ამოილო, ერთმანეთს დააწყო.  
ძვლები ახაუნა და ცეცხლი დაანთო.

ბარკლებიდან ხორცი მოიგლიჯა. სისხ-  
ლიანი მწვადები დაბრანა.

სისხლი გამოიდინა. დამათრობელი  
სითხე კოკაში ჩასახა.

ძუძუდან რძე გამოიწველა და თასში  
ჩაღვარა. ნაწილი მანვნად შეადედა.  
ნაწილით ყველი დააყენა. სულგუნიც გადა-  
ზილა.

კილები დაიმტვრი და დაფქვა. ნახე-  
ვარი — მსხველად, ლერლილად, ნახევარი  
წვრილად გაცრა, ფქვილად.

სიმწრის ცრემლები წასკდა. ცრემლით  
ფქვილი მოზილა და მჭადები დააყრა.

ფქვილში ყველი ჩადო. ხაჭაპური გამო-  
აცხო.

ღომი დააღო.

ღომს ყველი ჩააჭყლიტა. ელარჯი  
ამოზილა.

თმები დაიგლიჯა და ძაფი დაგრიხა.

თავი გაიპო, ტვინი ამოილო, ძაფზე აან-

ცო. სისხლს ფქვილი შეაზილა. ჩურჩელა  
ამოვალო.

ფელამუშიც დააგო.

გულ-დვიძლი ამოიგლიჯა და კუჭმაჭი  
შეამზადა.

ნაწლავები გამოიშიგნა და დატენა. კუ-  
პატი დაკიდა.

აქით ქაბაბი.

იქით ოცდაერთნაოჭიანი ხინკალი.


რა არ გააკეთა, ნაირ-ნაირი კერძი  
ნოყიერი. თავი არ დაზოგა, სტუმარი რომ  
გაეშვა მადლიერი.

სუფრა გაშალა. კერძები დაალაგა. ყვე-  
ლა დააგემოვნა სტუმარმა. თითები  
ჩაიკვნიტა. მსგავსი მანამ არაფერი გაეს-  
იჯა. გაიფიქრა: „აი, კერძი — გემრიელი,  
ნატურალური. სჩანს, რომ მასპინძელმა  
შიგ ჩადო ალალი გული და სული.“

ცოლმა თმები დაიპუტა. ლეიიბ და სა-  
ბან-ბალიში დაბუმბლა. სტუმარი მოსვე-  
ნა. სტუმარი მშვიდად ეძინა, თითქოს  
ღრუბლებში ეფრინ.

ცოლმა ძვალი, ხორცი და ტყავი რძეში  
მოხარშა. მადასალმძვრელი სუნი აუშვა  
ხაშმა. გამოლვიძებულ სტუმარს გამოუ-  
ტანა და მიართვა. სტუმარს ოფლმა დაუწ-  
ყო დენა. ნაბახუსევმა იგრძნო შვება.

ქმარმა ცოლს დასახლისობა უქო და  
სტუმარმა კიდევ უფრო.  
ქმაროფილი წავიდა სტუმარი. ადიდა  
უფალი.



## ჭამეს

— მეგობრებო, გშიათ?  
— აუ, მაგრა, ტო!  
— მშია კუბში! ცოტაც და, კუბოში  
ვიქნები ჩასაწევენი. შიმშილისაგან ვკვდე-  
ბი!

— ახლა კაი იმერული ხაჭაპური მაჭა-  
მა, ყველირმბადმიტორილი აქვს, აი, აგერ,  
მარგოს ძუძუებივთ.

— ყველი ჩემი ძუძუებივთ აქვს  
და ცომი შენი ყვერივთ.

— ახლა შიმშილისაგან არ მქონდეს  
გონება გადაკეტილი, კაი რალაცას გეტყ-  
ოდი. ბედი გაქვა!

— შენ რომ გიყურებ, თან მშიერს, თან  
მშიერი, ეს ბედია?!

— არც კი ვიცი, რა გითხოვა! არა, რა,  
მართლა ძან მშია. სულ მთლად  
გამობორებული ვარ.

— ეგ ისეთი სიმართლეა, როგორც...

— რა როგორც?

— თუნდაც ის როგორც, მე როგორც  
მშია ახლა.

— არ გშიებია შენ და ტყუილად ნუ გვა-  
ცოდებ თაგა!

— ვაი, შე საცოდაო!

— კარგი, რა, ერთმანეთთან კინ-  
კლაობაში ნუ ხარჯავთ კინკილა ენერგიას!

— ფეროვანზე რას იტყოდით?

— კარგია, მაგრამ 1

მარტო ფეროვანი ხაჭაპური დასაბ-  
ლომბ კბილში ჩამრჩება. ფეროვანი სუფრა  
მინდა ახლა მე, თორემ ფერნა-ფერნა ჩამკე-  
ცა შიმშილმა.

— კარგი ლობიანიც მაგრად გამის-  
წორდებოდა.

— შენ გაისწორო და ჩვენ გაგვას-  
წორო?!

— არა, რას ამბობ! მე „ვაფშე“ არ მშერ-  
ავს ლობიანი.

— გაგბერავს და ჩვენც  
დაგიმატებთ — ცემით გაგბერავთ.

— ახლა გრიპიან ქათამს და ღორსაც  
დაუფიქრებლად შევჭამიდ.

— ნატო გვაშველისო, რალაც დიდ იმ-  
ედს ამყარებენ, ნატო, შენზე და აპა, შენ  
იცი, გაამართლე იმედები — გვიშველე  
რამე!

— მე რა გიშველოთ?!

— რა რა გვაშველო! მთელ საქართვე-  
ლოს შენი იმედი აქვს, ნატო!

— იმედი ბოლოს კვდება!

— დამრჩეს იხრად იმედი! მომინელა  
შიმშილმა! ხაჭაპური და ლობიანი მისცა  
ახლა ჩემს კუჭს მოსანელებლად?

— ყველა გზა რომში კი არა, კუჭში მი-  
დის და მერე — სხვაგან. კუჭზე გვერდის  
ავლით შორს ვერსადაც ვერ წახვალ. კუჭი  
სამყაროს ცენტრია!

— ხინკალ-ცენტრში დაგვსვა?! ცხელ-  
ცხელ ხინკალზე რა აზრი გაქვთ?

— გვევასება. მაგარი კაცია.

— აუუუ, ნერწყვი მომადგა.

— თუ ღმერთი გწამს, არ გადმოაფ-  
ურთხო, ჩაყლაპე.

— სხვა რა გზა მაქვა! ისე მშია, საკუ-  
თარ ნერწყვის კი არა, ქუჩაში გადმო-  
ფურთხებულ ნერწყვებსაც ხინკლის  
წვენივთ შევხერიპავდი.

— ფუუუ...

— ფუუზე ფული გამახსენდა და  
ნერტილი დაესვა ჩემს შიმშილისაგან  
გაფურთხებულ ხასიათს. ფული რომ  
გვერინდეს ახლა, სხვანაირ ფუუზს დავიძა-  
ხებდით ცხელი ხინკლების გასაციელად.

— ვჭამე, ვჭამო, მაჭამა, გაჭამე... ნუ  
შეჭამეთ, რა, ტვინი!

— გინდათ, გაჭამოთ?

— ჰო, გაჭამოთ.

— გვინდა?! თუნდაც თავი დაგვიდევი  
შესაჭმელად.

— გოჭის თავი უფრო მოგეწონებათ და  
წავედით რესტორანში!

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე

რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი

უურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ უურული

ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

## ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა  
და საორგანიზაციების სამინისტროს ფინანსურის მხარის მიერ

გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა  
და საორგანიზაციების სამინისტროს ფინანსურის მხარის მიერ

გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა  
და საორგანიზაციების სამინისტროს ფინანსურის მხარის მიერ

გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა  
და საორგანიზაციების სამინისტროს ფინანსურის მხარის მიერ

გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა  
და საორგანიზაციების სამინისტროს ფინანსურის მხარის მიერ

გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა  
და საორგანიზაციების სამინისტროს ფინანსურის მხარის მიერ

გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა  
და საორგანიზაციების სამინისტროს ფინანსურის მხარის მიერ

გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა